თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 105

„10“ ნოემბერი 2015 წელი

თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტთან დადოს ხელშეკრულება საბიუჯეტო სახსრების გაერთიანებაზე (თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ უსახელო ხევზე სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ერთობლივად შეძენა), მხარეები ვალდებულნი არიან დააფინანსონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის ღირებულების 50-50%, შემსყიდველი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 40 000 ლარს.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ

ხელშეკრულება

ქ. თელავი **„-------“ ნოემბერი 2015 წ.**

ერთის მხრივ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ალექსანდრე შაბირიშვილის (პირადი №20001029782) სახით და მეორეს მხრივ თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მერის, პლატონ კალმახელიძის (პირადი №01032000519) სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანება თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ უსახელო ხევზე სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ერთობლივად შეძენასათან დაკავშირებით.

2. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

2.1. მხარეები უფლებამოსილნი არიან ერთობლივად დააფინანსონ თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ უსახელო ხევზე სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა.

2.2 მხარეები ვალდებულნი არიან დააფინანსონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის ღირებულების 50-50%, შემსყიდველი თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 40 000 ლარს).

3. დავის გადაწყვეტის წესი, მხარეების პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა შეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და წყდება წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 1 წლით, 2015 წლის 10 ნოემბრიდან 2016 წლის 10 ნოემბრამდე.

4. სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4.2. მხარეთა დამატებითი შეთანხმებები დასაშვებია ხელშეკრულებაში, ის ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგნს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი	თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მერი
ალექსანდრე შათირიშვილი	პლატონ კალმახელიძე
„----------“	„----------“